



ნაციონალური და პატრიოტული
პოლიტიკის ორგანო

ყოველ დღურს გაზეთი

პარასკევი საქსეპრის 17

(სექტემბრის 4)

1920 წელი

№ 79

ფასი 5 მან.

„კლდე“

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება

დილის 10 საათ. 2 საათამდე

ფასი წლის დამლევამდე 500 მან.

ერთი წლით 1.000 მან.

განცხადებათა ფასი: 15 მ.-10 მანეთამდე სტრიქ. პეტ

სამგლოვიარო განცხადება—300 მან.

მისამართი:

თბილისი დამფუძნ. კრების (სახალხო) ქუჩა № 5.

ტელეფონი 19-66

რედაქტორის ტელეფონი № 22



ეროვნული
გიგლიორთქა

მგოსნის აკაკი წერეთლის ნების აღმასრულებელი კოტე აბდუშელიშვილი აცხადებს, რომ მგოსნის უფროსი დის განსვენების

ანანა როსტომის ასულის წერეთლის

ოპოციის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 18 სექტემბერს, დღით შაბათს სამამაპაველო საშარხ ეკლესიაში, ს. კვერეთში (ძველ ნაშინასტრეში).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 10 ოქტომბერს (ენკენისთვის 27 ძვ. სტილით)

დღიური წესრიგი:

- I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
- II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
- III. სამაზრად მოხსენებანი (დღეგრძელების).
- IV. ზეგონი და სამარტამენტო არჩევნების სამზადისი.
- V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
- VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარტამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დღეგრძელობა ალაგები განაწილებულია მარტებს შორის დამატებითი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

ქ ა რ თ უ ლ ი

სამუსიკო საზოგადოების

ფლიურის კრება

დანიშნულია სექტემბრის 19-ს, დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქორუმი არ შესდგა, ერთი საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად.

**ევროპის სოციალისტების
დალაგება**

ქართველ ნაციონალისტთა პარტია არ სთვლიდა აუცილებლად დამფუძნებელი კრების ოფიციალურ მოწვევას ინტერნაციონალის დელეგაციის შესახებდრათ.

მაგრამ ჩვენ მაინც მივიღეთ მონაწილეობა ამ შეხვედრაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დელეგაციის მონაწილეობს ევროპის სახელმწიფოს ოფიციალური პირი—ბელგიის მინისტრი ბ.ნი ვანდერველდე, რომელსაც ასეთი დიდი დავალი მიუძღვის სამშობლოს ნაციონალური თავისუფლების დაცვაში.

ჩვენ ვესალმებით ინტერნაციონალის დელეგაციას, როგორც წარმომადგენელთა იმ ევროპისას, რომლისავე ყოველთვის ილტვოდა საქართველო, მაშინაც კი, როდესაც რუსეთი გზას გვიხშობდა

ჩვენ ვეუბნებით ევროპის სოციალისტებს:—გაცივით, ალბად, რომ სასოფლოსამეურნეო ქვეყანაში, საქართველოში, დღეს ბატონობს პროლეტარიატის პარტია!.. ეს იმით აიხსნება, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია მას შემდეგ, რაც რევოლუციის წყალობით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, ამ ძალაუფლებას იუნდაც უნებურად ახმარებდა

ქართველი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საქმეს.

ამისათვის არის, რომ საქართველოს მესაკუთრე გლეხობა და ინტელიგენცია ითმენს ყველა იმ მოვლენებს, რომელიც თან სდევს მენშევიკურ თუნდაც მშვიდობიან დიქტატურას, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში.

დამოუკიდებლობის პოლიტიკა შედეგად, რომ საქართველოში არ ყოფილა სამოქალაქო ომი.

მაგრამ სოციალ-დემოკრატებისათვის დამოუკიდებლობა მაინც დარჩა შეშვებით, ძალაუფლებურად გადაღმულ ნაბიჯით, ჩვენთვის კი ნაციონალისტებისთვის დამოუკიდებლობა არის ისტორიულად აუცილებელი აქტი—განგრძობა იმ სახელმწიფოებრივი ტრადიციისა, რომელიც მოსდის იყო ქართველი ერის წარსულ საუკუნოებში.

ჩვენ ნაციონალისტები ველით ამ სახელმწიფოებრივი ტრადიციის განსამტკიცებლად მეგობრულ ხელს გამოწვდომის მხოლოდ ევროპისაგან და არასგზით იმ რუსეთისაგან, რომლის ასი წლის ბატონობას საქართველომ ძლივს დააღწია თავი.

სა ამი ევროპას, სალაში სტუმრებს.

გრ. ვეშაპელი

პრესა.

მ. გორაკი ლენინის შესახებ

„კომუნისტში“ დაბეჭდილია გორაკის წერილი—დახასიათება ლენინისა. წერილი ასე თავდება:

„ამ სტრიქონებში იმ აღმინანვე არის ლაპარაკი, რომელსაც გამგებობა შესწევდა დაეწყო საერთაშორისო სოციალური რევოლუციის პროცესი იმ ქვეყანაში, სადაც მან პროც. გლეხებისა, სურს მაძლარი ბურჟუები იყვენ.“

ასე გამგებობას ბევრი სიგიჟეთი თვლიან. მე კი რევოლუციური ალტკინების მუშაობა მამაცთა სიგიჟის ქებადღებით დავიწყე.

იყო მომენტი, როცა რუსეთის ხალხსადმი სიბრალულობა მაიძულა „სიგიჟე“ დანაშაულობათ ჩამეთვალა.

მაგრამ ახლა, როდესაც ვხედავ, რომ ამ ხალხს უკეთ შეუძლია მოამენით იტანჯოს, ვინმე შეგნებთ და პატიოსნებით იმუშაოს,—მე კვლავ ვუძღვრი დიდებას მამაცთა სამღვთო სიგიჟეს.

„მათ შორის ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უპირველესი და უდიდესი გიყია.“

დავაუბი.

სპარსეთის მდგომარეობა. ლონდონი. სექტემბრის 1. აჯანყებული სპარსელები და ბოლშევიკები კაზვინის მახლობლად დამარცხდნენ.

თეირანი. სექტემბრის 1. სპარსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ებრძოლოს ბოლშევიკებს თავისი ძალებით. ინგლისელები კაზვინში პასიურობას იჩენენ. სპარსეთის მთავრობამ ვენეციაში გაგზავნა სპარსელ კაზაკთა დივიზია 3000 კაცისაგან შემდგარი და 1000 ყანდარი. ბოლშევიკებს რომ ეხმარება, ისეთ სპარსელთა რიცხვი რამოდენიმე ას კაცს არ აღემატება. ხორასანში მთავრობის ჯარებმა აჯანყებულები გაანადგურა.

სტამბოლი. 6 სექტემბერი. აქ მიღებულ ცნობით სპარსეთის შახი უარს აცხადებს ტახტზე. სპარსეთი გამოცხადდება რესპუბლიკათ. სტამბოლში მყოფი სპარსეთის მისია აცხადებს, რომ ამ ამბის დაზარალებული ცნობა მას არ მიუღია.

ამერიკა და ხალხთა ლიგა ნიუ-იორკი. პრეზიდენტის თანამდებობაზე დემოკრატთა კანდიდატმა კოკსმა წინასწარ საარჩევნო კრებაზე გამოაცხადა, რომ პრინციპიალურად ერთა ლიგის მომხრე ვარ და მხარს დავუჭერე, რომ ამ ლიგაში ამერიკამაც მიიღოს მონაწილეობა.

ბერლინ პარიზის მიმოსვლა ბერლინი. 5 სექტემბერი. ბერლინსა და პარიზს შუა რკინის გზის პირდაპირა მიმოსვლა განახლდა. მატარებელი გზაში 27 საათს უნდებია.

ინგლისის ტრედ-უნიონები ლონდონი. სექტემბრის 10 (რადიო) ტრედ-უნიონთა კონგრესმა პრინციპიალურად მიიღო გადაწყვეტილება მუშათა გენერალური შტაბის დაარსების შესახებ. კამათის დროს ამ საკითხში არსებული დიდი აზრთა სხვა და სხვაობა გამოიჩინა.

იტალიის გაფიცვები. რომი. სექტემბრის 10. (რადიო) ქარხნის მეპატრონეები გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ მანამ, სანამ გაფიცულთა ხელში იქნება სამრეწველოები.

პოლონელ მუშების მოწოდება. გაზეთი „რაბოტნიკში“ გამოქვეყნებულია პოლონეთის მუშათა მოწოდება დასავლეთის პროლეტარიატისადმი, რომელმაც ომის საშინელების დროსაც შეინარჩუნა გული წრფელობა და პატიოსნება. მი წოდებაშ-

სხვათა შორის აღნიშნულია: ბოლშევიკები წარმოადგენენ წითელ იმპერიალისტებს, რომლებიც სცდილობენ დაამარცხონ ევროპაში უფლებიანი სახელმწიფოები, მათ შორის პოლონეთიც, და გახადონ ისინი თავის გუბერნიებში. მოსკოვი ავიწროებს თავისუფალ ქვეყნებს კავკასიას, უკრაინას, ლატვიას და ცდილობს გახადოს ისინი მოსკოვის კოლონიებათ. მაგრამ ამას ვერ მიაღწევს.

სამხედრო ცნობა

სექტემბრის 14. კობრინის ჩრდილოეთით ბრძოლა. სოკოლის რაიონში ჩვენი ჯარი ებრძვის მტრის იმ ნაწილს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის გატაცების შემდეგ მოკლევადიან ვლადიმერ-ვოლინის რაიონში ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს. (დამაზიანებელი) ჩვენმა ჯარმა ბრძოლით როგორც აიღო და 250 ტყვე წამოიყვანა. ხელთ იგდო ზარბაზნი, 7 ტყვის-მფრქვეველი და 200 თოფი.

ყირიმის ფრონტი

ევრხენ-ტოკმაის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი ნაწილი, რომელსაც ორი ჯაგენოსანი ეხმარებოდა.

მილიერანის და ჯილიტის თათბირი.

მილიერანში და ჯილიტაში ისაუბრეს და კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ საფრანგეთსა და იტალიის შორის სრული თანხმობა არსებობს.

ევროპის სოციალისტების ჩამოსვლა

დღევანდელი წესრიგი.

17 სექტემბერს დღევანდელი დაათვალიერებს ბოტანიკურ ბაღს.

საღამოთი ქალაქის საბჭოში გაიმართება საზეიმო სხდომა.

დღევანდელის შეხვედრის პროგრამის მთავარი ხელმძღვანელი არიან: ბიქტორ თევზაია და ბენია ჩიკვიშვილი.

ვანდერველდეს სიტყვა ბათუმში.

მე მახსოვს 1917 წელი, როცა პირველად შეხვედრი ქართველს. ეს იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე კარლო ძხიძე. მაშინ ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი. მე, დანგრეული, განადგურებული ბელგიის შვილმა ვიცი საქართველოს სულისკვეთება მე აქ ვხედავ წითელ დროშას, მარცხენა არის ის წითელი დროშა, რომელიც ჩრდილოეთით ფრიალებს. იქ ის დამყარებულია მონობაზე, აქ კი, თავისუფალ ნებისყოფაზე. მე აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ წითელ დროშას ეროვნულზე გადაჭიმულს. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც ელირება დღეს რომელიმე ერი. როდესაც მე დიდი გემიდან გამოვიდო და გადავხედე საქართველოს მიწებს, ხოლო შემდეგ წინ შეგვეგება ზღვა ხალხი წითელი დროშებით, სავსე სიხარულით, მე მაშინ ვიგრძენი იმ ოცნების სიხარული, რომელსაც ემსახურება საერთაშორისო მუშათა კლასი. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს არ არის სპეციალური და ბუტყურობა, არამედ — არის ხალხის გულიდან აღმჩნეული სიხარული და სიყვარული. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატია.

მაკდონალდის სიტყვა ბათუმში.

ჩვენ არა ჩვეულებრივი გულმხურვალებით გვესალმებან. ამით და ამ ქვეყნის ნახვით ჩვენ ბედნიერი ვართ არა იმიტომ, რომ ვიხილოთ ეს ქვეყანა, რომ აქ ბევრი სიძლიერა, არამედ იმიტომ

პრემიერებმა გადაწყვიტეს ერთად შეისწავლონ ის საკითხები და პირობები, რომლებიც საზავო ხელშეკრულებამ ვერ გადაწყვიტა სათანადოდ. უმთავრესი მიზანია საერთო მშვიდობიანობა, და ხალხთა დამოუკიდებლობის იდეის პატივისცემა. მშვიდობიანობის დამყარების პირველი პირობა ჯილიტის მილიერანის პირით არის თანხმობა ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის: არსებული ხელშეკრულებანი მომავალს საერთაშორისო დამოუკიდებლობას ქვეყნებზე უნდა დაედგას. ვერსალის ხელშეკრულების განხორციელება საფრანგეთისათვის აუცილებელია პოლონეთის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ამის მისაღწევად უპირველესად ყოვლისა უნდა შეწყდეს ისეთი რამები, როგორიც არის რუსეთში პოლონეთის ომი და სამხედრო მოქმედება, რომელიც ოსმალეთის ნაციონალისტებსა და კონსტანტინეპოლის მთავრობას შორის ხდება. პრემიერები დარწმუნებული არიან, რომ პოლონეთი გამარჯვების შემდეგ ასეთ პირობებს წარუდგენს რუსეთს, რომელიც უკანასკნელისათვის მისაღები იქნება და რომელიც ხალხთა დამოუკიდებლობის პრინციპს არ შელახავს. პოლონეთი ამ გზით გამართლებს მოკავშირეთა მოლოდინს.

რომ ეს ქვეყანა დემოკრატიის სამეფოა.

ჩვენ გვესმოდა ქართველი ხალხის გმირობა და მონაწილეობა ერთ დავიანობაში არა წითელი დროშებით, არამედ საქართველოს მუშათა და მოქალაქეთა მარჯვენის ნაცოფი, რომელიც გამოქცდილი იქნა ამდენი ხნის ბრძოლაში. ჩვენ გვინდოდა დავგვენახა ევროპაში დემოკრატიის გამარჯვება და ეს ვნახეთ აქ საქართველოში. ჩვენ გვსალმებოდა საქართველოს როგორც ქვეყანას ინტერნაციონალის იდეის მატარებელს.

კაუტსკის ამბავი.

კაუტსკის მდივანს გოლდბერგს ჩვენი კორესპონდენტი კაუტსკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შეეკითხა. გოლდბერგმა უპასუხა: კარლ კაუტსკი ჩამოვიდა რომს და იქიდან გამოსვლის წინა დღეს სექტემბრის 1, თავი ცუდად იგრძნო. ექიმების რჩევით ის იძულებული გახდა რომში დაჩერებულიყო. რომიდან გამოვა 10 დღის შემდეგ და საქართველოში დიდი ხნით დარჩება.

დარჩენის დრო.

დღევანდელი საქართველოში დაახლოებით ორი კვირი დადრჩენას ფიქრობს.

ჩამოსვლა თბილისში

დღის 9 საათსა და 10 წუთზე ვეროპის სოციალისტ. დღევანდელი თბილისში ჩამოვიდა. სადგურა გიორგიანდებოთა და დროშებით იყო მოწყობილი. დღის 9 საათზე დღევანდელის შესახებ დიდ სადგურზე მოიღწნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, მთავრობის ყველა წევრი, ს. ლომთათიძე, ს. მღივანი, მუშათა პროფ. საბ. მუშათა ორგანიზაციების წევრები და ს. დ. პარტიის წარმომადგენლები.

მიტინგი დამფ. კრების წინ.

დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდო-

მის შემდეგ 12 საათზე გაიხსნა მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს: საფრანგეთის წარმომადგენელი — რენოდელმა და ინგლისის წარმომადგენელი — ტომას ჰოუპი, მაკდონალდმა და კან სლოუნმა. ბელგიის წარმომადგენელი — დებრიუერმა. მიტინგს დაესწრო მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, მთავრობის წევრები, — ს. ლომთათიძე, ს. მღივანი, ბ. ჩიკვიშვილი დამფ. კრების წევრი რამიშვილი.

რენოდელის სიტყვა

საფრანგეთის წარმომადგენლის სიტყვა: მოსალოდნელი იყო, განაცხადა რენოდელმა, რომ სოციალისტები ცარიზმის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოს აშენების დროს პირველ ხანებში ქაოსის და ნგრევის სურათს მოგვცემდა. საბედნიეროდ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. საქართველოს სოციალისტები, ჩაუდგნენ რა საქმეს სათავეში, სამაგალითო წესრიგი დამყარეს.

შოუს სიტყვა.

ჩვენ ვიყავით საბჭოთა რუსეთში, სიტყვა ტომას ჰოუპი და შეგვიძლია შევადაროთ ის საქართველოს: რუსეთში ბატონობენ ბოლშევიკები და სამართლიანობისა და სამართლის დასაცავად უნდა აღვიარო, რომ რუსეთის ძალა-უფლება არ მისცა რუსის ხალხს არც თავისუფლება, არც ბედნიერება. ჩვენ სულ მოკლე ხანია საქართველოში ვართ, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვნახეთ და ვიგრძენით, ის უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ აქ სოციალიზმა ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მისცა. შოუ ინგლისის ნახევ. მილიონ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებისა და მათი პარტიის 4 ნახევ. მილიონ წევრის სახელით მიესალმება საქართველოს.

ვანდერველდეს სიტყვა ნ. ჟორდანიას მიმართ.

ნება მომეცით გამოვსიტყვა ჩემი აღფრთოვანება იმის გამო, რაც მე აქ თვითონ ვნახე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქმის თქვენ ჩვენგან გინდათ, ისევე როგორც ჩვენ, უნდა თქვენთან მოვიდეთ სასწავლებლად. იანდერველდემ სიტყვა დაასრულა შემდეგის წინადადებით: გაუმარჯოს საქართველოს.

დამფუძნებელ კრებაში

ევროპის სოციალისტების საბატონ-საცემო სხდომა შესდგა 15 სექტემბერს 10 საათზე.

ილაპარაკეს: თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, სოც.-დემ. გ. გიორგაძე, სოც.-ფედ. შ. მესხიშვილი, ერ.-დემ. გ. გვაზაძე, ნაციონ. გ. ვეშაძე, სოც.-რევ. ლ. შენგელია და დამნაჯელ ტერ-სტეპანაძე.

ქრონიკა.

სომხეთი და საქართველო. „ტიმ-სი“ იტყობინება თურმე, რომ სომხეთში 25 პროც დაუთმო საქართველოს იმ სამხედრო მასალიდან, რომელიც ბათუმით მუდგებოდა. (ს.)

სპეკულიანტების დევნის გამო. პროკურორი ტატიშვილი აცხადებს: „სპეკულიანტების საქმის გამო არავის აქვს ნება გაჩხრკოს ან შეაყუროს რომელიმე მოქალაქე უორდეროდ, რომელსაც თანახმად პოლიტიკური პროკურორის მ. ტატიშვილის წინადადებისა ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი განსაკუთრებულ რანგის

უკანასკნელი ცნობები

რუსეთ-პოლონეთის კონფერენციაში ჩიხერინი მიადგენს მთავარ მოთხოვნას

ვანდერველდეს სიტყვა

სხდომაზე სხვათა შორის განაცხადა: „ვფიქრობ, არც კი იქნება მეორე ქვეყანა სადაც ერთი და იგივე კაცი ერთი დღის განმავლობაში მიესალმებოდა ჩვენს დელეგაციას სადგურზე, როგორც ს. დ. პარტიის ცენტ. კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრებაში, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და აქ როგორც მუშათა ორგანიზაციების მეთაური. მე ვფიქრობდი ფიქრით: ნ. ჟორდანი რომ ბელგიაში მოსულიყო, მეც მივიღებდი მას სახალხო სახლში, მაგრამ მივიღებდი როგორც ბელგიის სამეფო მთავრობის ვიცე-თავმჯდომარე“.

კიროვი რუსეთს გაემგზავრა. მის მაგივრად დარჩა სტარკი.

უფროსი კილიას. თუ იქნება ისეთი შემთხვევა, რომ დაბალი მოხელე სინდისს დაჰპარავს და ფულის დასატყუვნად ვის მეს დაქვრას დაუპირებს, ან სპეკულიანტთა სიაში შეიტანს, მაშინ ეს ამბავი დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პროკურორ ტელეფონით № 12-50, № 12-56 (დღისით და ღამითაც)“.

უჩაღები იმერეთში. ქუთაისი. შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ახვლედიანისაგან შემდეგი შინაარსის დებე-მა მოვიდა: გუშინ 12 საათზე წახშირის ღელეში შეტაკების შემდეგ ჩემგან მოკლული იქნა ავაზაკი ხუჯაძე და დატუსაღებულია ლანჩავა. მილიციის უფროსი ახვლედიანი.

აქერბეიჯანში შესვლის წესი. საქართველოს რესპუბლიკის ადგიზე ჯანის რესპუბლიკასთან არსებული საელჩო და საკონსულო აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა რომლებიც ადერბეიჯანს მიდიან, თან უნდა იქონიონ პასპორტი, სადაც უნდა ეწეროს გარკვევით თუ რა ქვეყნის მოქალაქე არიან.

უჩაღები სამეგრელოში. ზუგდიდის ციხიდან გაქცეული აქესენტი სამუშაო ოჩი წლის კატორღა მისჯილი გამოცხადდა და მოთავსებულია ციხეში. მატარებლის გამარჯვებულა წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. ერთი მათგანი დაქვრივებული მილიციონრებთან შეტაკების დროს. მილიციონრები მთებში გაქცეულ ტუსაღებს კვალ-და კვალ მისდევს.

ბათუმის ამბები. სპეკულიანტების დატუსაღება. თბილისის სისხლის სამართლის უფროსმა პ. ზ. ფაჩულია დაატუსაღა შემდეგ პირები, რომელთაც ბათუმში „საბანკო“ კანტორები ჰქონდათ და ეწეოდნენ სპეკულიაციას ვალიუტაზე.

1) ვასილ პეტრეს-ძე გრამატიკოპოლო, 2) ვასილ ილიას-ძე ასლანიდი, 3) ირაკლი კონსტანტინეს-ძე. ხარლამიდი, 4) ივანე ნიკიტას-ძე ჩემბერლანდი, რომელიც ვალიუტაზე სპეკულიაციას ეწეოდა, 5) ილია იაკობის-ძე შტიენგარდი, 6) გორდან კონსტანტინეს-ძე ცუხნიკასი, 7) ისააკ სამუილის-ძე გურაღნიკი, 8) პატის აბრამისძე კობრანსკი 9. არონ ხაიბის ძე რუბინიკი, 10. იდელ მოვსეს ძე იდელ სონი, შეერთებულ შტატებში მოსამსახურენი რომელსაც გაჩხრკის დროს აღმოჩნდა ფარული კასა და შიგ წიგნები.



ში შეუტანელი 42 მანეთის უცხოეთის ვალიუტა. 11. იაკობ აოსების ძე ვი-
შენბლიტი, 12. ანასტას აპოლის ძე ფო-
კასი, 13. სიმონ ფილიპს ძე ნოვიცკი,
14. ვერნერი მიხეილისძე როზენბერგი,
15. სოფოკლე აფოსტოლისძე აპოსტო-
ლიდი და გრიგოლ ალბოს ძე ხეიფიცი.
ხსენებულ პირებს დატუსაღების
დროს ჩამოერთვა უცხოეთის ვალიუტით
100 მილიონ მანეთზე მეტი. ყველა ეს
პირები მოთავსებულია საოლქო საპრო-
ბილეში.

ქალაქის მილიციაში ცვლილება მო-
ხდა, ძველი მილიციის უფროსი ბ. იმ-
ნაიშვილი სამსახურიდან გავიდა და მის
ადგილას ხალი კაცია დანიშნული ბ-ნი
კორშია.

საჯანგებო კომისიის თანამდებობის
აღსრულებას შეუდგა ჯარების სარდალი
გენერალი მღვიანი.

პიროვნის ნათქვამი

რუსეთის ელჩი კირიკი ჟურნალის-
ტებთან საუბრის დროს სხვათა შორის
შეგზო შემდეგ საკითხებს:

საქართველოსა და რუსეთის მოლაპარაკება.

— ამ დღეებში მოსკოვში მიმდგომი
არაა აგრძელებს საქართველოს წარმომად-
გენლობა გ. მახარაძის მეთაურობით. მე
შეგონია, რომ ამ მისიის მოსკოვში ჩამო-
სვლისთანავე და ჩემი მონაწილეობით
აღძრული იქნება საკითხები: საქართვე-
ლოს ჩრდილოეთის საზღვრების, ზაქათა-
ლის მხარის და საქართველო რუსეთის
საფარო-ეკონომიურ ურთიერთობის შე-
სახება. პოლონეთ-რუსეთის საზავო კონ-
ფერენციაზე წასვლა რომ არ მომხდეს
— ამბობს ს. მ. კიროვა — კარგა იქნება

იდეა და ფორმა

სიტყვა „იდეა“ ჩვენი წინააღს-
აზრს, შინაარსს, შინაგან ლტოლვათა და
ხილვათა ლოგიკურ სახეობას. ფორმა, მო-
კვეთილობა — ეს არის სახეობა ნაკვეთი-
ბისა, მეტყველება გარეგნობისა.

იდეა ჩვენი შეცნაულების შინაგანი
რაობაა; ფორმა ჩვენი ერთდროული შთა-
ბეჭდილების ეფემერული მოკვეთილობაა.

იდეა თეორიულ-ლოგიკური პრინცი-
პია შემოქმედებისა; ფორმა ჩვენი შემო-
ქმედებითი ჰერეტიკის ილუზორული გან-
სახეობაა. იდეა და ფორმა ორი დიდი
ელემენტია ყოველი შემოქმედების, ის-
ტორიისა და ცივილიზაციის ყოველი სახის.

მეტყველებისა და ლიტერატურის
ისტორიაში არა ერთხელ დასმულა სა-
კითხი:

რა უფრო მნიშვნელოვანია ცხოვ-
რებასა და შემოქმედებაში იდეა თუ
ფორმა? აზრი თუ ფორმის სახეობა? რა
არის უფრო დიდი და მეტყველები: შინა-
განი რაობა, თუ გარეგანი სახეობა?

ცივილიზაციისა და კულტურის
გრანდიოზული სახეები რაში უფრო გა-
მოიხატებიან: ნაკვეთის სიმეტრიაში თუ ლო-
გიკურ სახეობაში?

განსაკუთრებით მწვავედ წამოაყენა
ეს საკითხი მხატვრულმა ლიტერატურამ:
გამორჩენ მწერლები, რომლებიც თამაშად
ლაპარაკობენ ფორმის უპირატესობაზე,
ნაკვეთის სახეობის სიდიადეზე. არტისტები,
ყოველ შემთხვევაში ცდილობენ დამტკი-
ონ, რომ იდეა შემოქმედებისა ბოლოს
და ბოლოს ფორმის რითაობისა და რიტ-
მიულ წყაბაში გამოიხატება, რომ ფორ-
მა არის ყველაფერი და აზრი კი მეორე
მხარისხიანი ელემენტი.

მართალია თუ არა ეს?

— შემოქმედება, იქნება ეს მხატვ-

რები მოსკოვში გამგზავრება ზემოაღნიშ-
ნულ საკითხების გასარკვევად.

რუსეთის მოლაპარაკება ინგლისთან

— ინგლისთან მოლაპარაკება შეს-
წყდა, ვინაიდან ყოველდღიური მიუღებელი პი-
რობები წამოგვიყენეს. ჩვენი მხრით ყო-
ველგვარ გარანტიებს მოითხოვენ, ხოლო
თითონ კი არაფერია გარანტიის არ იძ-
ლევიან. ამას გარდა მოითხოვენ კერძო
კაპიტალის უზრუნველყოფას; ამ პირო-
ბების ასრულება ჩვენი მხრით რქნებოდა
ჩვენი მართვა გამგებობის და საპროტა სის-
ტემის სრული დარღვევა. ეს იქნებოდა
მოკავშირეთა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩა-
რევა. ასეთ მდგომარეობაში მოლაპარა-
კება მიზანს ვერ მიაღწევს.

მოგზარგების სამინისტროს რეგულაციები აღსანიშნავი.

მოგზარგების მინისტრმა თავის უფ-
ლებაში 10 სექტემბერს შემდეგ ბრძანება
გასცა: „თბილისის კოოპერატივთა კავ-
შირის თავმჯდომარე ს. ი. ადნაია 15
ივლისს დაინიშნა რეგულაციებზე ბორჩა-
ლას მაზრაში პურის მოსამზარებლად.
ამასთანავე მას მიეცა წინადადება, დაე-
ნებებია თავი კოოპ. კავშირს. თავმჯდომარე-
ობასათვის და დაუყონებლივ შესდ-
გომოდა მუშაობას მაზრაში. როდესაც
ადნაია წინადადებაზე დათანხმდა მომა-
რგების სიჩქარის გამო, იმავე დღეს მი-
იღო მოგზარგების სამინისტროს კასიდან
საკმაოდ დიდი თანხა და შემდეგ მის სა-
ხელოვ გახსნილ იქმნა მიმდინარე ანგა-
რიში შუალავრის ხაზინაში. მიუხედა-
ვით იმისა, რომ ადნაიას სრულებით არ
სცოდნია არც თავისი მოვალეობა და
არც ხასიათი და მნიშვნელობა იმ საქმი-
სა, რომლისათვისაც ის აღიჭურვა სამინი-
სტროს ნდობით, ის, მიუხედავად ამისა

რული, თუ თეორიულ-მეცნიერული სულ-
ერთია, არის ერთგვარი ესთეტიური გან-
სხეულება ადამიანის სულიერი მღელვარე-
ბისა. ყოველი ადამიანის სულიერი
მღელვარება, ყოველი ადამიანის გრძნა-
ბებისა და ცნებების შემოქმედებითი მო-
ძრაობა არის ერთგვარი ენერგიის და-
ხარჯვა, ერთგვარი ლოგიკურ-ესთეტიურად
გამოყალიბება ნებისყოფის ცხადყოფისა.
ყოველი ნებისყოფის ცხადყოფა გამოი-
ხატება ნარეულ შერბევაში, შემოქმე-
დებით განცდაში: მხატვრმა მეცნიერმა —
მწერალმა ჯერ თვითონ უნდა დაინახოს
სახე, ჯერ თვითონ უნდა შეიგრძნოს და
შეიცნაუროს და მხოლოდ შემდეგ ინდი-
ვიდუალურ სახე შეგრძნობისა შეიძლება
გაობიექტივება, გარედ გამოტანა...

შემოქმედებს შეუძლია აკეთოს ცხო-
ვრებას სახე მხოლოდ განცდის დაზავებ.

განცდა არის ესთეტიური სახეობის
საფუძველი, განცდაში გამოიხატება შინა-
განი ხილვა შემოქმედებითი გრძნეულო-
ბისა.

ამ შინაგანი ხილვის გაობიექტივება
შემოქმედებითი პროცესის განსხეულებაა;
ყოველივე განსხეულება ფორმის ჩამოყა-
ლიბება. შემოქმედელი ჯერ ათამაშებულია:
მან არ იცის რა ხდება მაშინ: ის მხო-
ლოდ ამოძრავებულია გამოუთქმელი სი-
ხარულით, მწვავე სიტკბოებით; ის ეძებს
თიხას, მარმარილოს, ტილოს; ინსტინქტიუ-
რად გრძნობს მისტიურ /ოისულობას.
გრძნობა გადადის განცდაში და იწყება
ღვთიური ატალღება ნებისყოფისა,
იწყება შინაგანი ხილვა: იდეალური სახე-
სა, ფსიქოლოგიურად მოძრავდება ესთე-
ტიური ნაკვეთის ლოგიკური აყოფა-
დება: სხეულებრივი /ოცნება სინამდღე-

ატყვილებდა სამინისტროს 1—2 თვე
და მთელი ეს დრო თბილისში გაატარა
და მუშაობდა კოოპერატივში. ეს ცო-
ტაა, მიიღო რა ფული მხოლოდ პურის
მოსამზარებლად, ადნაიამ თავისი პირა-
დი მოსაზრებით როდესაც ამისი უფულე-
ბა არ ქონდა, მიაბარა შესანახად ფაქ-
ტიურად სესხად თბილისის კოოპერატი-
ვთა კავშირს 9 მილიონ მან. კავშირმა
ფული დაატრიალა და დახარჯა თბილისის
კოოპერატივთა კავშირის საჭიროებისათ-
ვის. მომენტში, როდესაც აუცილებელია
ყველა ხალხთა მოხმარება, რომ შემოუბუ-
ქდეს დღევანდელი პურის კრიზისი, ამი-
სათვის მოწვეული ადნაია განაგრძობდა
თავის პირად ან გარეშე საქმეებს და
მით შეგნებულად ან შეუგნებლად უქად
და შიმშილს მუშებსა და მცხოვრებლებს,
ასეთ პირებს სასტიკი განაჩენი უნდა გა-
მოუტანოს არა მარტო სასამართლომ,
არამედ მთელმა დემოკრატიამაც, ამის გა-
მო მისი უკანანო უმოქმედობის გამო
შიმში კრიზისის დროს მისთვის მითვისე-
ბული უფლებების გადაშენებისათვის და
აგრეთვე მისთვის ჩაბარებულ სახაზინო
ფულების უკანონოდ გასესხების გამო,
აუცილებლად დავინახეთ ს. ი. ადნაია
დაგვეჩოვრა სამსახურიდან და იმავე დროს
ვაცნობოთ შინაგან საქმეთა მინისტრს
ს. ადნაიას საჩქაროთ დატუსაღებისათ-
ვის აღმინისტრაციული წესით, რათა აღე-
ძრა მის, ადნაიას, წინააღმდეგ სისხლის
სამართლის საქმე.

კორესპონდენცია

მიტროპოლიტ ნაზარის მოგზაურობა.

6 სექტემბერს, (ძველი სტილით 24
აგვისტოს) დღით ორშაბათს, საღამოს 6

ღისკენ მიიწეა, თვით სინამდვილე ადა-
მიანის სურვილებში ჩილესება, იჩარება
და ესთეტიურ სახეცვლილობას განიცდის
— შემოქმედებით დაზავებ იკეთება იდე-
ალური სახე.

დიადი და ხვთაებრივი აქ სახე,
იდეა, სხეულებრივი ოცნება. ფორმა,
ფერები, ნაკვეთი, ხაზები მხოლოდ
ტანისამოსია შემოქმედებითი სულიერო-
ბისა, მხოლოდ დროისა და გემოვნების
შესაფერი გარეგნობაა. მარდულობა
მხოლოდ იდეაში გამოიხატება, მხოლოდ
იდეა არის გამომსახველი მარადისობის
მგონსურ — ფილოსოფიურ შეგრძნობისა,
სამყაროს დაუსრულებლობის შეცნაუ-
რებისა, ზოგადი, საკოებრიო სევედის
ღვთაებრივი განზოგადებისა. ყოველივე
შემოქმედება მსოფლიო სევედის გამოსა-
ხელებაა, შეგრძნობა ამ სევედის პოეტუ-
რად და ფილოსოფიურად, სულის აწყო-
ბაა.

მშვენიერია წუთისოფლად მხოლოდ
ის სახე, რომელშიაც და რომლის სა-
შუალებით ადამიანი გამოსახავს მარადი-
სობის წყურვილის და არსებობის სევე-
ლას: ტარილის ცრემლები რუს პირად,
აფთანდილის სიმღერა მუღლაზანზარის
ველიზე, დანტეს დაუსრულებელი ხეტი-
ალი, შექსპირის გრანდიოზული ოცნე-
ბები ჩვენი სულის მარადიული სევედა-
ნდობის სახეებია...

სამყაროს თვალგადაუშვდენელს სი-
ვრცეში წუთისოფლის წარმავლობის
შეცნაურება პოეზიას აერთებს ფილო-
სოფიასთან: საღამოს ქაშს, როდესაც, სუ-


სათზე ქ. კიათურაში მობრძანდა იმერე-

თის მიტროპოლიტი ნაზარი ქუთათელი,
რომელსაც ვაგზალზე მიეგებნენ ქუთათის
ბრივი სამღვდლოება და ქსანთელთა
მიტროპოლიტს თანამგზავრობდა მისივე
საკათედრო საკრებულო ტაძრის დეკანო-
ზი მამა პლატონ ცქეტიშვილი. ვაგზლი-
დან მისი მაღალ მეუფება პირდაპირ მღვი-
მის დედათა მონასტერში წაბრძანდა. მო-
ნასტრის ეზოში ზარების რეკით მის მე-
უფებას მიეგებნენ მონასტრის წინამძღვრა
დედა ილემენია ქრისტინა თავისი მონას-
ტრის დეპით და მათთან ერთად ჯრუჭის
მონასტრის არქიმანდრიტი მამა პავლე.
მიტროპოლიტი პირველ ყოვლისა შებრ-
ძანდა მონასტრის ეკლესიაში, სადაც ჩვე-
ულებრივი მცირე „ლიტურგია“ გადახდის
შემდეგ, რაზედაც მონასტრის მგალობე-
ლთა გუნდი გალობდა, მიტროპოლიტმა
ნაზარმა გრძნობიერი მწყემს მთავრული
სიტყვით განუმარტა და დაუსურათა, თუ
რა დიდი მნიშვნელობა აქვს მონასთანა
ცხოვრებას და როგორი მიზანი და მის-
წრაფება უნდა ჰქონდეს მათ მონასტე-
რში ყოფნას და როგორი სიწმინდით და
ურთიერთ შორის სიყვარულით უნდა
ატარებდნენ იგინი მონასტრულ ცხოვრე-
ბას, რაზედაც მისმა მაღალ მეუფებამ მრავალი
მაგალითები მოუყვანა მათ წმიდათა
დედათა ცხოვრებიდან. მეორე დღეს სა-
მშაბათს დილით, 7 სექტემბერს შუაღვა
მონასტრის ღირს შესანიშნავ სიძველეთა
დათვალიერებას, რაზედაც სრული კმაყო-
ფილი და ნასიამოვნები დარჩა; 11 სა-
ათზე ლოცვა-კურთხევით გავითხოვა მო-
ნასტრის დებს და შემდეგ გამგზავრა ჯრუ-
ჭის მონასტერში. — ჯრუჭისკენ მიმავალმა
მიტროპოლიტმა გზათ იხანულა დარკვე-
თისა და ზოდის ეკლესიები; იმდამეს
ჯრუჭში მიბრძანდა და ხუთშაბათამდის იქ
ოარჩა, სადაც ამ მონასტრის არქიმანდრი-

ტი ჩვენი ითვალისწინებს და კიდევაც
გრძნობს სიკოცხლის არარაობას, რო-
დესაც ჩვენში იღვიძებს მარადისობის
წყურვილი და ჩვენ ვერტუთ დაუსრუ-
ლებლობის სინიშნებს როგორც შეყვარე-
ბულნი, ჩვენს აზროვნებაში ცხოვრების
შინაარსი ღვთაებრივი სევედის შეგრძნო-
ბაში გადადის: მაშინ ადამიანი გრძნობს
ერთად იმავე დროს წარმავლობის სიმ-
წარეს და მარადისობის სიყვარულს. რა
თქმა უნდა, ვირები ამას ვერ გრძნობენ.
მაგრამ დიდი პოეტები და მეცნიერები,
საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკო-
სები, ფილოსოფოსები და მორალისტე-
ბი აქ ერთდებიან. ცხოვრების სახეების
სიმშვენიერე და ამ სიმშვენიერის წარმა-
ვლობა — ხრწნადობის იდეა ადამი-
ნის სულიერს მღელვებებაში ერ-
თად ისახებიან. მართალია რუსთაველი,
როდესაც ამბობს:

შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგო.
მართლაც, შეუძლებელია პოეტობა, თუ
არ არის ერთგვარი სულიერი და შემო-
ქმედებითი სილადე, ერთგვარი ესთეტი-
ურ — ეროტიული სისავსე შეგრძნობა —
შეცნაურების სფეროში.

პოეზია მეტყველების უმშვენიერესი
სახეა და რაც უნდა წყობილი იყოს გა-
რეგნობა, შინაარსის სიდიადე მინც აუ-
ცლებელია: შინაარსი აძლევს ფორმას
დინამიურ ხასიათს, ფორმის სახეობა ში-
ნაარსის სიმკვეთრეზე დამყარებული.
ფორმა მხოლოდ ტენიკურა და მატე-
რიალური მხარეა შემოქმედებისა; შინა-
განი, სულიერი მხარე აზრია, ის აზრი,



საქრებულო
იოსებ ბერიძის

ს ა რ ბ უ რ

საქრებულო გაზეთები უცხოურ წყაროებიდან იუწყებიან:

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების მიხედვით სახელმწიფო ბონების ნაღდი ოქრო უზრუნველყოფდა ქალაქის ფულს 1913 წ. 70 პროცენტის დასაყრდენს 18 პროც. და ამჟამად დაახლოებით 12 პროც.

შემდეგი ციფრებს იძლევიან სწორედ წარმოდგენას ევროპულ ომის მიერ გამოწვეულ ცვლილება უფრო დიდი სახელმწიფოების ნაღდი ოქროში. (მილიონ დოლარში; დოლარი ომამდე 2 მანეთად ღირდა):

	1913 წ.	1918 წ.
საფრანგეთი	1.200	664
ინგლისი	830	596
იტალია	226	234
რუსეთი	1.012	412
ავსტ. ჰუნგარი	296	55
გერმანია	916	720
დანია	41	52
პოლანდია	61	278
ესპანეთი	93	439
შვეიცარია	33	81
იაპონია	142	391
შვედეთი	1.905	3165

ამ რიგად, მოიგეს ნეიტრალ ქვეყნებმა და სახელმწიფოებმა, რომელიც შეკეთის უმთავრეს ნაწილს ასრულებდნენ.

ლენინი, მოქმედებდა ქარიშხალში აღმართის სულის მღელვარება აზარმაცი ჩვენი სიმბატისა და ყურადღების, ჩვენი ალტაცებისა და ღრმა პატივისცემის.

საზოგადოებო საკაცი პრია ღირებულებას შემოქმედებას აძლევს ყოველთვის აზრი—იდეა, ელინების ლოგოსი. ფორმა შემოქმედებისა ყოველთვის დროულია, იგი ასე ვთქვათ ბრბოს გემოვნებაზე დამყარებული. მხოლოდ აზრი არის გამოშატვლილი იმ ღვთაებრივი სვედის, რომელიც ისახება მარადისობისადმი ტრფილობაში და რომელსაც აქვს რელიგიური—ესთეტიკური ღირებულება ამ უთაბოლო და უსწორ—მასწორო წუთისოფელში.

ის, ვინც ღერ გრძნობს მარადისობისადმი ტრფილობას; ის, ვინც კმაყოფილია თავის სიტყვებით; ის, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების დაუსრულებლობის გამოსახვა შეიძლება განსაზღვრულ ფორმულაში, სულით ღირბობა და ვერასოდეს ვერ ვტყვის ვერც თავის ერს და ვერც კაცობრიობას ახალსა და უჩვეულო სიტყვას.

ახალს სიტყვას უნდა ძლიერი განცდა: მარგალიტებს ასერის მხოლოდ ატალღებული ზღვა. სული რომ აშფოთებულია, გული მხოლოდ მაშინ გაღვრება სანყაროს: ღრმა ონდა იყოს ადამიანი, ისე როგორც ზღვა: მხოლოდ ზღვის სიღრმეში, როგორც სარკეში, იხედვია მოცეკვავე ვარსკვლავი. კ. კაპანელი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი

ტმა მამა პავლე ისტორიულად და ეკონომიურად დაწვრილებით გააცნო მიტროპოლიტს თავისი საწინამძღვრო მონასტერი, საიდგანაც სასიამოვნო შთაბეჭდილებით გაემგზავრა დაბა საჩხერეში. გზით საჩხერისკენ ინახულო სარკის ეკლესია, სადამოზე დათვლიერა საჩხერის ეკლესია და იმავე ღამეს 9 სექტემბერს წაბრძანდა ქუჯაისში. უნდა ითქვას, რომ ზემო იმერეთში ეს ორი მონასტერი მღვიმეებისა და ჯრუჭის ღირს შესანიშნავი არიან როგორც თავისი ისტორიული ძეგლი ნაშთებით, ისე თავისი მონასტრული სიწმიდით, სიფაქიზით და რიგიანი წესწყობილებით ერთგული წინამძღვრების მოღვაწეობით; მხოლოდ არ შემოიღია არა ესთქვა, რომ, ჩვენდა სასიკცხოვით და სამწუხაროთ, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყუნ ამ მშვენიერი ისტორიული მონასტრების აყვავებას, ჩვენი საქმეების მეთაური სოციალისტები პირიქით ხელს უშლიან მათ არსებობას მითი, რომ ამ მონასტრებს სახნავ-სათესი მარჩენალი მამულები ჩამოართვეს და დღეს კი ამ მონასტრის ძმები და დები დიდ გაჭირვებასა და სიმშოლს განიცდიან. თუ მართლა ისე დაგეცით სულითა და ხორცით, რომ სარწმუნოება დავკარგეთ, ნუ თუ იმდენი კაცთმოყვარეობა და ადამიანური სიბრალული აღარ შეგვრჩენია, რომ სიმშოლით სიკვდილი უნდა ვუქადავოთ და მათხოვრის გზაზე უნდა დავაყენოთ ასეთი ძვირფასი და მ—9 საუკუნე მამაპაპით დაცული ისტორიული მონასტრები, რომელთაც მრავალი სამღვდლოება და მორწმუნე ხალხი აღუზრდია სწავლა-მეცნიერებით და სარწმუნოებით?!... სასულიერო მთავრობამ დროზე უნდა მიჰყვიროს ყურადღება ამ გაჭირვებული მონასტრების ისევე ფეხზე დაეცემა და ჩამორთმეული საზრდო მამულები ისევე დაუბრუნდეს მათ, თორეს მათი განადგურება არავისაც არ ეპატიება და ქართველ ერს სირცხვილით და ცოდვით ჩათვლება...

ბ. კიათურელი.

ხალხური შიშოლი.

როცა თვალს გადავავლებთ ჩვენს უბანს და ვითვალისწინებთ ეხლანდელს უბედურს მდგომარეობას, ბოლომდე გულგვესებათ და ეკათხებით თქვენს თავს, თუ რა ჰქმნის ამ დაუსრულებელს უბედურებას და გინდათ ეჭვი შეიტანოთ ვისმეზე, რომელიც ახდენდეს ამ საშინელებას. და ათასჯერ კითხულობთ კიდევ თუ რით აიხსნება, რომ ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში სიმშოლის ლანდი დამრწმის? რომ ცხოვრებას დღეს განაგებს ნიხრი და არა კეთილი სინდისიერება?

რისი ბრალია, რომ პურის ფასი საათობით იწევს და გირვანქა სამ კაპეიკიანი პური ხდება 110 მან.

მაშ რაღა იქნება შემდეგში, როცა გლეხი ზოგს გაყიდის და ზოგსაც ბეღელში შეინახავს და ასწევს მამასისწლად მის ფასს, როგორც აიწევა სხვა საგნებზედაც?

სად უნდა ვეძიოთ ამისი მიზეზები? ამისი საბაბია ის, ვინც ხელოვნურად ჰბორკავს ხალხს და უსპობს ყოველი ღონის ძიებას გამოიტანოს თავისუფლოთ თავისავე ქირანხული და მოიხპაროს თავისავე მეზობლებში და თავისავე ქვეყანაში როგორც მოეპრიანება.

მაგრამ თუ ასე დიდხანს გაგრძელდა და დროზედ არ ავიღეთ ხელი ამ გამანადგურებელ პოლიტიკაზე, უფრო უარის დაკვეთება და ხალხს: მუშას, გლეხს, საზოგადოებას უფრო მძლევ ჩაეკიდება უღმრთელი ცხოვრების ბორკილები.

და არც საკვირველი იქნება:

ებრივი კულტურა შეადგენს საგანს როგორც წმინდა ხელოვნებისა და ლიტერატურისა, ისე საერთო, საზოგადო მოღვაწეობისა და პოლიტიკური მიმდინარეობისა. ტრადიციისა და ისტორიის უარყოფა ჩვენ კიდევ გვესმის მარინეტის სამშობლოში,—იქ, სადაც ერი კარგად იცნობს თავის ტრადიციას და ისტორიას. იტალიაში წარსულის უარყოფა იყო ერთგვარი ისტორიოლოგიური ანარქიზმი. ეს იყო ერთგვარი ბუნტი, ერთგვარი აჯანყება წარსულის შეგონებით. გრანდიოზობის წინააღმდეგ. საქართველოში ქართველი უარყოფს იმ წარსულს; რომლის მესახებ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. საქართველოში ქართველი ამბობს: მე წარსული მეზობლებთან და თან არც კი იცის რა ეზიზღება მას.

სურვილი შემოქმედებისა ხალი ფორმის შემოღებისა საქართველოში იმდროს, როდესაც ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნული სულიერი მიმდინარეობისა, მიუღებელია თავისთავად. ილია ჭავჭავაძე რა მწერალია—ამბობს ქართველი ინტელიგენტი და თან არც კი იცის რა დაწერა ილია ჭავჭავაძემ. თითქმის აქ მართოდება პარადოქსი ისევე უაღრესი კლასიკი ისეთი მწერალია,—ამბობს უაღრესი—რომელმაც ყველა ლაპარაკობს და რომლის ნაწერებს აღარაფერ კითხულობს.

ეს ეროვნული თვალთახედვით. საზოგადო, საკაცობრიო თვალთახედვითაც მიუღებელია წარსულის უარ-

განა იმ ბრძანებას, რომელიც ჰქონდალს ერთი სოფლიდან მეორე სოფელში ქინახულის გადაზიდვას, ერთერთი დახმარებას, განა, არ ძალუძს, რომელიც გირვანქა 500—600 მანეთი გახადოს?

და ეს ხომ ესპანური ინკვიზიციაა ხალხისა; ეს ხომ ფარანისებური დევნაა მოქალაქეების?

აბა, პრაქტიკული თვალის გადავხედოთ ამ საქმიანობას თუ რამდენად სახეიროა ასეთი რკინის ხუნდებით შემორკვეა ხალხისა?

თუ რამდენად ჰაეროვანია და სუმბუქი ის უნაყოფო ოცნება, რომლითაც უნდათ ესოდენ დამშფული და სახსარ მოკლებული ბრბო ერთი ბეღლიდან დააკმაყოფილონ!

ხშირად ამბობენ და დაჟინებით: ხალხთან ვართო ახლოს!

ეს არის ხალხთან ახლოს დგომა, ეს არის შეცნობა მისი საიდუმლო ქრილობის მალამოსი?

მართალია, ხალხთან ახლოს ხართ სამიტინგო სკამებიდან, როცა ილაჯი გაგაქვთ „მშხანაგოსა“ და „დემოკრატიის“ ყვირილით, მაგრამ თქვენი „საქმე“ კი არ ამჟღავნებს თქვენს ხალხთან ახლოს დგომას!

ბატონებო, კირთებამ დაღუპა ხალხი! აშხსენით მას ის მძიმე ბორკილები, რომელიც მას დადეთ უდანაშაულოდ, მაგრამ შეუზღუდებლად.

ნება მიეცით ხალხს, ისარგებლოს თავისი კანონიერი ნაშროპითა და ნაღვაწით.

ნუ ათელინებთ მას მილიციონერებს მაუზერებით, ნუ შეაგინებინებთ მას შოქრთაშე კაპისრებს და ალგირ ახსნილ ერბის მოღვაწეებს!

იგულისმოდგინეთ, რომ მათახების ტყლაშუნის ნაცვლად მეზობელმა მეზო-

ყოფა და მარტო წარმავალი ფორმის პატრისცმა; რა არის ის, რაც ჩვენ გვბიბლავს დანტესა და გიოტეს ნაწერებში—ფორმა თუ იდეა? რას აქვს ამ ნაწერებში მალაღი, ზოგადი, საკაცობრიო ღირებულება—ფორმას თუ იდეას? ფორმა დანტეს ნაწერების ჩვეულებრივი იტალიური ტერტიები დღეს ვერავის ვერ ხიბლავს. მშრალი, დიდაქტიკური წყობა სიტყვებისა, ცივი, ერთსახიანი თხრობა ამჟავისა მოკლებულია ესთეტიკური მიზიდევლობას. დღეს ჩვენ გვაზიდავს, დღეს ჩვენ ავიტაცებს დიადი, სიმბოლიური შინაარსი დანტეს პოეზიის; დღეს ევროპელი ინტელიგენტი დანტეს პოეზიაში გრძნობს საშუალო საუკუნოების სულიერობას, გრძნობს და ჰხედავს საშუალო საუკუნოების თვითმპყრობელ კათოლიკობას: წარსული მკითხველის ოცნებაში იღებს სხეულებრივ სახეს და თანდათანობით იშლება სიმბოლიურად რელიგიური ესთეტიკური ჰერტის დაუსრულებლობაში. აქ ლაპარაკობს იდეა, აზრი, აქ არის განცდა კოლოსალური ნებისყოფისა და არა უშნო და უზნეო ზრან-ქიაობა აკრობატისა და ჟანგლიორისა.

ფაუსტის ტაგელა კაცობრიობის სულიერი განცდის ეპოპეა. არა ფორმა, არა ლექსთა წყობა, არა ტექნიკური ლამაზობა ამ საკაცობრიო ტრაგედიისა აზიდავს ჩვენს ყურადღებას არამედ მაძიებელი სულის ტრაგედიული განცდის სიღრმედ. რომელ ენაზედაც უნდა წაიკითხოთ, ლექსად იქნება, თუ პროზით, სულ ერთია, „არსებობის ტალ-

რომელიც აძლევს სახეს მთელს ცივილიზაციას კაცობრიობისას, მთელს დაუსრულებელს მიმდინარეობას და ცვალებადობას ისტორიისას, საერთო შემოქმედებისას. ფორმის პატრისცმა და აზრის უარყოფა სულისა და სულიერობის უარყოფაა:—ეს ერთგვარი სილატაკია.

გიოტე „ფაუსტ“-ში ამბობს: „როდესაც ადამიანს თავში აზრი აკლია, საგანგებოდ გამოჩნხულ სიტყვებით ცდილობს თავის უაზრობა დაფაროს“. სექმე იმაშია, რომ ხშირად თავში აზრი აკლია არა მარტო ცალკე ადამიანს, არამედ მთელს საზოგადოებას და ეპოქას. ამ დროს უაზრო თავეში იბადება სიტყვებისადმი უსაზღვრო „პატრისცემა“; იწყება თავხედური, უზნეო, და უზრდელი გამოსვლები აზრისა, ლოდიისა და წარსულის საწინააღმდეგოთ. ქრისტიანისათი ეძლევა საზოგადოებისა და ერის მეტყველებას; ლანძღვენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციას, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ცხოვრებისა და ისტორიის ფორმებს და სახეებს. ეს არის დრო ისტორიული და კულტურული დევნერაციისა, რომელიც ამახინჯებს ცივილიზაციას.

საქართველოში დღესაც არის ხალხი, რომელიც ემსახურება დევნერაციის კულტს, რომელიც თავის უფიცობით ათახსირებს საქართველოს კულტურას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო წმინდა ხელოვნება, არამედ პოლიტიკაც და საზოგადო მოღვაწეობაც, რადგან ეროვნული და ისტორიულ-სახელმწიფო-